ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11923017001**

თარიღი:**17/01/2023**

<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ</u>

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2023 წლის 24 იანვარს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:30 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

ბ) დადგენილების პროექტი ,,წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

გ) დადგენილების პროექტი ,,წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

დ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ";

ე) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის იანვრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი